



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი**

**სამართლის ფაკულტეტი  
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების  
გამოყენების თავისებურებანი**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**სტუდენტი:**

**ნანა ხეიძე**

**ნაშრომის ხელმძღვანელი:**

**პროფესორი**

**შენგელი ფიცხელაური**

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი	10
2.1 აღკვეთის ღონისძიების ცნება და მიზნები	10
2.2 არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახეები საქართველოს კანონდებლობის მიხედვით	15
2.3 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები	48
2.4 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა და სასამართლოს მიერ მისი განხილვის თავისებურებანი	56
2.5 აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, გაუქმების თავისებურებანი და განჩინების გასაჩივრების წესი	61
თავი III. კვლევის შედეგები	65
დასკვნა	68
გამოყენებული ლიტერატურა	71

## ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელ აღკვეთის ღონისძიებებს. სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ხუთი ქვეთავისა და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და მთლიანობაში მოიცავს ნაბეჭდ 73 გვერდს.

პირველი თავი ეძღვნება იმ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც გამოყენებულია აღნიშნული ნაშრომის კვლევის პროცესში. მეორე თავი არის პრობლემის კვლევა/ანალიზი, რომელშიც განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელ აღკვეთის ღონისძიებათა თავისებურებანი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების შესაბამისად. ასევე, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის და გაუქმების საფუძვლები და მათი გასაჩივრების წესი. მესამე თავში კი შეფასებული და შეჯამებულია აღნიშნული საკითხის კვლევისას მიღებული შედეგები.

## **Annotation**

The present Master's Degree is dedicated to preventive measures to be used against a juvenile in conflict with the law. The master's thesis consists of the introduction, three chapters, five subchapters and conclusions that are included in the list of used literature, and include a total of 73 pages.

The first chapter is dedicated to the review of the literature used in the research process. The second chapter is the research / analysis of the problem in which the peculiarities of the preventive measures used in the conflict with the law are discussed in accordance with national legislation and international acts. Also, the grounds for the use, modification and abolition of the preventive measures and the rule of appealing them. The third chapter is evaluated and summarized by the results obtained in the study of this issue.

## შესავალი

აღნიშნული ნაშრომი ეძღვნება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე გამოსაყენებელ აღკვეთის ღონისძიებებს, მის სახეებსა და პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებებს.

**თემის აქტუალობა.** კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებისა და არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში ხშირად დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა გირაოს, პატიმრობის უზრუნველყოფით და პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება წარმოადგენს იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებსაც წარმოდგენილ ნაშრომში შევხებით. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას მთელი რიგი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული, მითუმეტეს, როდესაც ხდება ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, ვინაიდან ამ დროს იზღუდება პირის თავისუფლება. ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, იცავს პირს თვითნებური დაკავებისა და უკანონო დაპატიმრებისაგან, თუმცა აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და მისი შეზღუდვა უკიდურეს შემთხვევაში, კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა გარემოება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში კი სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული საკითხები არის იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანი, რადგან არასრულწლოვანი წარმოადგენს ჯერ კიდევ მოზარდს, რომელიც არის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში და მის მიმართ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს იმაზე უარესი შედეგი, რაც გამონვეულია მის მიერ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შედეგად, მითუმეტეს, მისი თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში.

**კვლევის მიზნები.** ზემოაღნიშნული საკითხების კვლევა მიზნად ისახავს ნათლად წარმოჩინდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო აქტების შესაბამისად.

**კვლევის ამოცანები.** ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის კვლევისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის დადებითი მხარეების შეფასება, არსებული ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდები.** აღნიშნულ ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა ანალიზის, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური მეთოდები, რაც, საბოლოო ჯამში, ნათლად ასახავს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების დროს იმ გამონაკლისებზე, რაც გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად.

ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საერთაშორისო აქტები, სამეცნიერო ლიტერატურა.

## **თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა**

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე გამოსაყენებელ აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტერატურა, კანონი და საერთაშორისო აქტი არსებობს, რომლებიც ერთობლიობაში არეგულირებენ და შესაბამისად, განმარტავენ არსებულ ნორმებს. თუმცა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, მიმდინარე რეფორმების შედეგად, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელმაც ერთ საკანონმდებლო აქტში გააერთიანა აღნიშნული ნორმები.

აღნიშნული ნაშრომის სიღრმისეული კვლევისა და შეფასებისათვის გამოყენებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ის ნორმები, რომლებიც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელ აღკვეთის ღონისძიებებს. ასევე, აღნიშნული საკითხების შესწავლისათვის გამოყენებული იქნა მორის შალიკაშვილისა და გივი მიქანაძის ავტორობით

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც გაანალიზებული იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების სახეები შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებით.

ასევე გამოყენებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი იმ მიზნით, რომ ნათლად წარმოჩინდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც მატერიალური, ისე საპროცესო საფუძველი კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს. ასევე იური გაბისონიას სახელმძღვანელო „აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში“ გამოყენებული იქნა იმისთვის, რომ გამოიკვეთოს ის მიზნები, რისთვისაც გამოიყენება აღნიშნული ღონისძიება, როგორც ბრალდებულის შემდგომი ქცევის გარანტი.

აღნიშნულ ნაშრომში ასევე გამოყენებული იქნა საქართველოს კონსტიტუცია, რადგან თავისუფლების უფლება კონსტიტუციით დაცულ მნიშვნელოვან სიკეთეს წარმოადგენს და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით უფლებამოსილი პირის მიერ, მითუმეტეს, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ხდება საპროცესო იძულების ღონისძიების - დაკავებისა და პატიმრობის გამოყენება, რითაც იზღუდება მისი თავისუფლება.

აღნიშნულ ნაშრომში ასევე გამოყენებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორიცაა ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენცია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო კონვენცია, გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („ჰეკინური წესები), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რომელთა შესწავლისა და შეფასების თანახმად ნათელია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ

მართლმსაჯულების განხორციელების დროს მათი უფლებების დაცვა და საუკვეთის ინტერესების უზრუნველყოფა არის პრიორიტეტული ყველა ქვეყნისთვის.

ამასთან, არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვა - დაკავება და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ყველაზე უკიდურეს შემთხვევებში, ასევე განხილულ უნდა იქნეს ყველა სხვა ალტერნატიული საშუალება. ასევე შესწავლილი იქნა ადამიანის უფლებათა სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმადაც, არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განხილული უნდა იქნეს პრიორიტეტულად, არასრულწლოვანი რაც შეიძლება ნაკლები დროით უნდა იმყოფებოდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილას. სწორედ აღნიშნული არის გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ საქმის განხილვისა და პატიმრობის ვადის გამოყენებასთან დაკავშირებით.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საფუძვლების შესწავლისათვის და კონკრეტული საფრთხის დასაბუთებისათვის ასევე გამოყენებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ხოლო არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული არასაპატიმრო სასჯელის - პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებზე დაწყებულ სისხლისამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით ასევე გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები.

ასევე შესწავლილი იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ 2016 - 2017 წლებში, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანთა რაოდენობა მკვეთრად არის გაზრდილი. ასევე პატიმრობა, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება ყოველთვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ და პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. გამოყენებულ იქნა ქეროლინ ჰამილტონის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, თუ რატომ უნდა იქნეს განხილული არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე და მისმა საჯაროობამ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს არასრულწლოვანს მომავალში.

აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურის, კანონების, საერთაშორისო აქტებისა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლისა და შეფასების შედეგებს განვიხილავთ აღნიშნულ ნაშრომში.

## თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

### 2.1 აღკვეთის ღონისძიების ცნება და მიზნები

ადამიანის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დაცულ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანხმად: „თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ.“

ასეთის არსებობის შემთხვევაში კი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმპერატიულ დათქმას აკეთებს. კერძოდ, მისი 196-ე მუხლის თანახმად, „დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, პროკურორი, გამოძიების ადგილის მიხედვით, მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია აღკვეთის ღონისძიებები, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის პროცესში. აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულებას, რომლის გამოყენება დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ. კონკრეტულად, აღკვეთის ღონისძიების შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ იგი „...სამაგიეროს მიზღვის, დასჯის რაიმე ღონისძიება კი არ არის, არამედ სწორედ ბრალდებულის შესაძლო (დამაბრკოლებელი) ხელისშემშლელი მოქმედებისა თუ უმოქმედობის აღკვეთის ან/და თავიდან აცილების საშუალებაა (გზაა, ხერხია, მეთოდია), იძულებითი ხასიათის ზომაა, რომელზეც, როგორც „აუცილებელ ბოროტებაზე“ - ადამიანის თავისუფლების

წინასწარ შეზღუდვაზე - ადამიანები აუცილებლობიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან დაყაბულდნენ ანუ შეგნებულად გაიღონ ეს მნიშვნელოვანი მსხვერპლი“.<sup>1</sup>

გარდა ამისა, „აღკვეთის ღონისძიებას გააჩნია პრევენციულ-უმრუნველმყოფელი ხასიათი.“<sup>2</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად: „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება. იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელის შეშლის პრევენციის საშუალებას“.<sup>3</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენა და შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, რაც გულისხმობს „ფაქტების ან რაიმე ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.“

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. თუმცა, გამონაკლისია „გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და განაჩენის აღსრულება.“<sup>4</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული დათქმიდან გამომდინარე, პირი ბრალდებულის სახით დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს სასამართლოს და მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას შესაბამისი აღკვეთის ღონისძიება.

აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „დაკავებული ბრალდებული დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს“<sup>5</sup> ასევე პირის

<sup>1</sup> ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003, გვ. 7

<sup>2</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 558

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი N646 II-40

<sup>4</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 558

<sup>5</sup> Musaev Uzbekistane, ECTHR 21/10/2014 §9.3

დაკავების ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველის საკმარისობის შემოწმება; დაკავებისას და შემდგომ ბრალდებულის უფლებების დაცვა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია“<sup>6</sup>.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაკავებული პირის მოსამართლის წინაშე წარდგენის ვალდებულება არ არის დამოკიდებული პირის არჩევანზე. აღნიშნული გულისხმობს იმ გარემოებას, რომ პირის ბრალდებულის სახით დაკავების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მის მიმართ, რომ არ ჰქონდეს რაიმე უფლებების დარღვევას ადგილი და განხორციელდეს შესაბამისი კონტროლი სასამართლოს მხრიდან.

ყველა დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს მიუხედავად იმისა, ბრალდების მხარე თუ რა შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ბრალდებულის მიმართ არ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, აუცილებელია ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენა, რათა მოხდეს მიმდინარე საქმეზე წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა და სასამართლოს კონტროლის განხორციელება.

თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დაკავებული არ არის და მის მიმართ დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა, აუცილებელია მოხდეს ბრალის წარდგენა და აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა. ამასთან, აღკვეთის ღონისძიების განხილვის დროს მაგისტრატი მოსამართლე მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის თარიღს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიან) არაუგვიანეს 60 დღისა“, შესაბამისად, აღნიშნულ ვადაში უნდა განისაზღვროს წინასასამართლო სხდომის თარიღი.

---

<sup>6</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 551

თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შეიცავს განსახვავებულ მიდგომას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი პირის მიმართ. კერძოდ: „თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.“<sup>7</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კონკრეტულად განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. კერძოდ:

- ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას;
- აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება;

აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ და დადგენილია აღნიშნული ქმედების ფაქტობრივი გარემოებები, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ თუ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახე, ვერ მიიღწევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნები.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს წარმოადგენს:

ა. ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდების მხარე როდესაც დაასრულებს გამოძიებას, საქმე გადაეცემა სასამართლოს. სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობს გარკვეული დროის განმავლობაში, რა დროსაც საჭიროა

<sup>7</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა, თბ., 2015, მ. 64

ბრალდებული ცხადდებოდეს სასამართლო სხდომებზე, რადგანაც მისი მონაწილეობით უკეთესი საშუალება მიეცემა მოსამართლეს, განახორციელოს სამართლიანი მართლმსაჯულება.

თუმცა, ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით ან ზოგჯერ უმიზეზოდ თუ თავს აარიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ამით მოხდება სასამართლო პროცესის გაჭიანურება და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რითაც, ბუნებრივია, დაირღვევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები და ვერ მოხდება მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება.

ამასთან, „საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.“<sup>8</sup>

ბ. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემდგომ მიზანს წარმოადგენს ბრალდებულის მხრიდან შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა, რომელიც ატარებს პრევენციულ ხასიათს იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც გამოიყენება აღკვეთის ღონისძიება.

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან, ფაქტობრივი გარემოებებიდან, ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, არსებობს თუ არა პირის მხრიდან შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე. თუ იგი ჩათვლის, რომ ასეთი საფრთხე არსებობს, მაშინ ის არსებული საფრთხის პროპორციულად გამოიყენებს აღკვეთის ღონისძიების შესაბამის სახეს.

თუმცა, მომავალში პირი ჩაიდენს თუ არა დანაშაულს, „ცხადია არა თუ სხვამ, დანამდვილებით შესაძლოა ამ პირმაც კი არ იცოდეს. ამიტომ, კანონი მიუთითებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომელიც საკმაოდ საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის. პრაქტიკაში, უწინარესად, ამგვარ მტკიცებულებად ითვლება

---

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი N646 II-40

დანაშაულის რეციდივის თაობაზე საქმეში არსებული დოკუმენტაცია (ოფიციალური ცნობა ნასამართლობათა თაობაზე, შესაბამისი განაჩენის ასლები და ა.შ.).<sup>9</sup>

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ის, რომ უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება, რაც გულისხმობს „ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, როგორც განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებას. ეს, როგორც წესი, შედარებით უფრო „გვიანდელი სტადიისათვის“ დამახასიათებელი ღონისძიებაა.“<sup>10</sup>

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ შესაძლოა ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული. შესაბამისად, არსებობს ვარაუდი, რომ მომავალში შესაძლოა ამ პირის მიმართ დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. გამამტყუნებელ განაჩენს კი, თუ არ არსებობს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევა, მოჰყვება სასჯელი და ასევე შესაძლებელია რაიმე შემლუდვა ან აკრძალვა და ასევე რაიმე ვალდებულების დაკისრება. მოსამართლემ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეათვასოს, რამდენად არის შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა (განაჩენის აღსრულება) აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების ან თუნდაც მისი გამოყენებლობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიება პირის მიმართ ატარებს პრევენციულ ხასიათს და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად.

## **2.2 არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახეები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით**

---

<sup>9</sup> ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003, გვ. 16

<sup>10</sup> ი. გაბისონია, აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003, გვ. 19

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მიზანი** - არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლოს მიერ საქმის განხილვა რეგულირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საერთაშორისო აქტებთან და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან შესაბამისობაში.

მიუხედავად წლების განმავლობაში არსებული რეფორმებისა, ცალკე საკანონმდებლო აქტი არ არსებობდა, რომელშიც ერთად იქნებოდა თავმოყრილი არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მომწესრიგებელი ნორმები. თუმცა, მიმდინარე ცვლილებების საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

აღნიშნული კოდექსის მიზანს წარმოადგენს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა და მეორეული ვიქტიმიზაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“<sup>11</sup>

ამასთან, სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია მიზნად ისახავს „ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს უწყობს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სათანადო რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას. ასევე, უზრუნველყოფს არა მხოლოდ ბავშვთა კეთილდღეობისა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას, არამედ ემსახურება საზოგადოების გრძელვადიან

<sup>11</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015, მ. 1

ინტერესებს, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე საზოგადოებაში დადებითი ღირებულებების მქონე და კანონმორჩილი ახალგაზრდა წევრების დაბრუნებას. ამასთან აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორცაა არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესი, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა, სამართლიანი სასამართლოს გარანტიების უზრუნველყოფა, ასევე არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და მათი სტიგმატიზაციის დაუშვებლობა.

ამასთანავე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში აქცენტი უნდა კეთდებოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის საჭიროებაზე.“ ამასთან, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის პროცესი მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მის რესოციალიზაციამდე, რაც მოიცავს არასრულწლოვანი ბრალდებულის ურთიერთობას სამართალდამცავ, სასამართლო ორგანოებთან და პენიტენციურ სისტემაში რესოციალიზაციის ღონისძიებას, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნების, მისი წარსულის, სოციალური გარემოს, დანაშაულის ფაქტობრივი და ხელის შეშეწყობი გარემოებების დადგენის გარეშე.“<sup>12</sup>

**აღკვეთის ღონისძიების სახეები** - არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაზე შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წესი, მიზნები და საფუძვლები რეგულირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ხოლო 2015 წლის 12 ივნისს მიღებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელმაც განსხვავებულად ჩამოაყალიბა არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხები. აღნიშნული კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებების სახეებს წარმოადგენს:

---

<sup>12</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქნაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 2

- გირაო;
- შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ექცევის შესახებ;
- პირადი თავდებობა;
- მეთვალყურეობაში გადაცემა;
- პატიმრობა;

თუმცა, აღნიშნული კოდექსი დასახელებულ აღკვეთის ღონისძიებებთან ერთად ასევე განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ვალდებულებების ერთი ან რამოდენიმე ღონისძიების გამოყენებას, რომელიც პროცესის მწარმოებელ პირს აძლევს საშუალებას, გამოიყენოს ისეთი ღონისძიება, რაც ყველაზე უკეთესად უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციის მიზანს.

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას დამატებითი ვალდებულების გამოყენება დაკავშირებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებზე, ბრალად შერაცხული დანაშაულის სპეციფიკაზე და კონკრეტულ მიზანზე, რომელი საფრთხის პრევენციისთვისაც გამოიყენება.

კანონმდებელი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას პროცესის მწარმოებელი ორგანოებისათვის არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ერთდროულად რამდენიმე დამატებითი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში. ბრალდების მხარეს შეუძლია მოითხოვოს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების, მაგალითად გირაოს გამოყენების შემთხვევაში შუამდგომლობაში მიუთითოს რამდენიმე სახის დამატებითი ღონისძიების გამოყენება, ასევე დაცვის მხარეს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვის დროს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას და მიუთითოს ბრალდებულის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება რამდენიმე დამატებით ვალდებულებასთან ერთად. ხოლო „სასამართლო ვინაიდან საკუთარი

ინიციატივით ვერ დაამძიმებს ბრალდებულის მდგომარეობას,<sup>13</sup> მას თავისი შეხედულებისამებრ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, შეუძლია განსაზღვროს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე რა სახის დამატებით ღონისძიებას გამოიყენებს. მაგალითად, თუ ბრალდების მხარე არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობაში მიუთითებს მიმალვის საფრთხეს და სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობაში არ არის დასაბუთებული აღნიშნული საფრთხე იმ სტანდარტით, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნეს უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება პატიმრობის სახით, ამასთან საქმის გარემოებები, არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნება იძლევა აღნიშნული საფრთხის პრევენციის საშუალებას ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დამატებითი ღონისძიების სახით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი მონმობის ჩაბარება საგამოძიებო ორგანოსათვის, გარკვეული ადგილის დატოვების აკრძალვა, გარკვეული პერიოდულობით საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში გამოცხადება, რაც სრულად უზრუნველყოფს გამოყენებულ აღკვეთ ღონისძიებასთან ერთად მის სათანადო ქცევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე არასრულწლოვანთა მიმართ დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას შესაძლოა ასევე გამოყენებული იქნეს რამდენიმე სახის დამატებითი ღონისძიება.

**გირაო** - არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ერთ-ერთი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეა გირაო, რომლის გამოყენება „დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (გამონაკლისია განაჩენის აღსრულების და

---

<sup>13</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 571

გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დანწყებამდე).<sup>14</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გირაოს სახით ფულადი თანხის ან გირაოს უზრუნველსაყოფად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობას. ამასთან, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმისა და ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით და არ უნდა იყოს 1000 ლარზე ნაკლები, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად: „გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გირაოს თანხა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.“<sup>15</sup>

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების შემთხვევაში მას არ გააჩნია საკუთარი დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, აღნიშნული თანხის გადახდას უზრუნველყოფენ მისი მშობლები, ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი მათი თანხმობის საფუძველზე, მაგრამ თუ გირაოს გადახდა ხორციელდება მესამე პირის მიერ მათ უნდა განემარტოთ არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის ბრალად შერაცხული ქმედების შესახებ, მასზე დაკისრებული მოვალეობები და ამ მოვალეობათა შეუსრულებლობით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი.

გირაოს შემტან ნებისმიერ პირს წერილობით განმარტებას აძლევენ იმ შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში, რისი არსებობის გარეშეც შეუძლებელია თუნდაც გირაოს უზრუნველსაყოფად ყადაღის დადება.

აღნიშნული უფლება-მოვალეობების და ბრალდებულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში განმარტება შესაძლოა სანოტარო წესითაც იქნეს დამონშებული, სადაც ნათლად უნდა იქნეს გამოხატული პირის თანხმობა გირაოს უზრუნველსაყოფად ყადაღის დადების თაობაზე

<sup>14</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 575

<sup>15</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015, მ. 63

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს სანაცვლოდ.

„გირაოს თანხის ოდენობა დამოკიდებული არ არის დანაშაულის კატეგორიაზე/სახეზე.“<sup>16</sup> შესაძლოა ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულზე რამდენიმე არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნეს გირაოს სხვადასხვა ოდენობა, რომელიც უნდა იყოს ბრალდებულისათვის შემაკავებელი ხასიათის და მისი დაკარგვა მნიშვნელოვან ქონებრივ დანაკლისს უნდა ქმნიდეს.

გირაოს ოდენობა განსაზღვრული უნდა იყოს არასრულწლოვანი ბრალდებულის ქონებრივი (მისი ან მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არის უძრავი ქონება, ბრალდებულს გააჩნია თუ არა შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო) და ოჯახური მდგომარეობიდან (ოჯახი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ხომ არ ირიცხება) გამომდინარე.

გირაოს თანხის ოდენობას და გირაოს გადახდის ვადას ბრალდების მხარე მიუთითებს შუამდგომლობაში, ხოლო სასამართლო აღკვეთის ღონისძიების განხილვისას არ არის შეზღუდული ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის, დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს გირაოს თანხა ან გაზარდოს გირაოს გადახდის ვადა.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება გირაოს შეუტანლობისა და გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. გირაოს შემტანს აფრთხილებენ შესაბამისი ოქმით, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მეორე მხარეს, ხოლო მეორე დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს.

გირაოს გადახდა შესაძლებელია როგორც ფულადი თანხით იქნეს უზრუნველყოფილი, ასევე უძრავი ქონებითაც. მხარეს უფლება აქვს უძრავ ქონებაზე გირაოს უზრუნველსაყოფად შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, რასაც თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტები, რომელიც სასამართლოს მისცემს

<sup>16</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 577

შესაძლებლობას შეაფასოს წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების განჩინება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს იმ უძრავი ნივთის მესაკუთრის საკუთრებას, რომელიც თანხმობას აცხადებს, რომ მის ქონებას ყადაღა დაედოს ბრალდებულის სასარგებლოდ შეფარდებული გირაოს სანაცვლოდ.

ამასთან, აღნიშნული უძრავი ქონება უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო (არ უნდა იყოს რეგისტრირებული გირავნობა ან სხვა სახის რაიმე ვალდებულება), შეფასების დასკვნა, რომელიც აფასებს უძრავი ქონების ღირებულებას მოცემული საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, ასევე იმ პირის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომელიც თანხმობას აცხადებს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას დაედოს ყადაღა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შეფარდებული გირაოს სანაცვლოდ.

იმ შემთხვევაში, როდესაც „მესამე პირის უძრავ ქონებაზე ხდება ყადაღის დადება მესაკუთრეს რჩება უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება დანიშნულებისამებრ, მაგრამ ეკრძალება მისი გასხვისება.“<sup>17</sup> თუ შუამდგომლობა თანდართული მასალებით აკმაყოფილებს შუამდგომლობის მოთხოვნებს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას განჩინების მიღების სახით, რომელსაც შუამდგომლობის ავტორი წარადგენს საჯარო რეესტრში, რათა ყადაღა დაედოს უძრავ ქონებას, შესაბამისად შედგება გირაოს მიღების ხელშეკრულება, რომლის ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს. თუ გირაოს თანხის შეტანა ხდება ფულადი თანხით, იგი შეიტანება აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე.

თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო მისი დაკავებით, ბრალდების მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე, პატიმრობის

<sup>17</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 575

უზრუნველყოფით, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული მანამდე დარჩება პატიმრობაში, სანამ გირაოს სახით განსაზღვრული თანხის არანაკლებ 50% მაინც არ იქნება გადახდილი.

სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების განხილვისას უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი და გამოიყენოს შესაბამისი გირაოს ოდენობა, რომელიც იქნება ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული, იმ შემთხვევაში თუ შეუსაბამოდ მაღალი თანხის ოდენობის გირაო იქნება გამოყენებული და ბრალდებული თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ გადაიხდის დასახელებულ თანხას და იგი დარჩება პატიმრობაში.

თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არ არის განსაზღვრული, რამდენად არის შესაძლებელი არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნას გირაო, პატიმრობის უზრუნველყოფით, მითუმეტეს, რომ პატიმრობა აღნიშნული კოდექსის თანახმად გამოყენებული უნდა იქნეს როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვანისათვის შეღავათს ითვალისწინებს.“<sup>18</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნა გირაო, პატიმრობის უზრუნველყოფით, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განმარტება, კერძოდ: „გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება სპეციფიკური უფლებამოსილებაა, რომელიც ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, ამ მოსაზრებას ამძაფრებს ის გარემოება, რომ არასრულწლოვანს საკუთარი შემოსავლები არ გააჩნია და გირაოს

<sup>18</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, 2015, მ. 2

გადახდის პროცესში ის ყოველთვის შეზღუდულია მშობლების თუ სხვა ნათესავების შესაძლებლობებით, რაც მაღალი ალბათობით მისთვის პატიმრობის გამოყენების ტოლფასივც შეიძლება იყოს. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას არ მიიჩნევს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად, მხოლოდ კარგი დასაბუთების პირობებში, ასეთ მოცემულობაში კი, როდესაც სპეციალური კანონი არ ითვალისწინებს ამგვარ შესაძლებლობას, ამის დასაბუთება შეუძლებელი იქნება.<sup>19</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია დაკავებით და ბრალდების მხარე მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს, პატიმრობის უზრუნველყოფით, გამოყენების თაობაზე, სასამართლომ შუამდგომლობის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ საუკეთესო ინტერესი და მის მიმართ უნდა გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიების სახით მხოლოდ გირაო დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნული მონაცემების მხედველობაში მიღებით და იგი გაათავისუფლოს დაკავებიდან.

ფიქრობ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ არ უნდა გავრცელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესი, რაც გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით გამოყენებულია დაკავება და სასამართლო ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს, რადგან აღნიშნული საკითხი არ არის რეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და იგი ეწინააღმდეგება უმნიშვნელოვანეს პრინციპს - პატიმრობა მხოლოდ უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იქნეს გამოყენებული. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით,

---

<sup>19</sup> ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პერიოდული გამოცემა N1, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ. 109

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გირაოს გამოყენების განმარტების მუხლში გაკეთდეს შესაბამისი მითითება ან შენიშვნა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდების მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების დროს გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით და აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

იმ შემთხვევაში, თუ გირაოს თანხის ნაწილი გადახდილ იქნება ფულადი თანხის სახით, აღნიშნული თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო „უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით აღსასრულებლად მიექცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“<sup>20</sup>

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს შემტანი პირი მიიჩნევს, რომ ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას საგამოძიებო ორგანოში და სასამართლოში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მას შეუძლია მიმართოს აღნიშნულის თაობაზე წერილობით სასამართლოს ან პროკურორს და გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა ერთი თვის ვადაში დაუბრუნდება უკან, ხოლო ბრალდებულის მიმართ კი განიხილება გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხი ბრალდების მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში.

ამასთან, თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად შეასრულებს გირაოს გამოყენების შემთხვევაში მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გირაოს შემტანს უკან დაუბრუნდება ბრალდებულის მიმართ გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა საქმის განმხილველი სასამართლოს ან პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროში წარდგენის შემდეგ.

<sup>20</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 575

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა გარკვეული ცვლილება შეიტანა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების საკითხის განხილვისას. მართალია, ის თითქოს მიეკუთვნება ნაკლებად მკაცრ აღკვეთ ღონისძიებას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი ბრალდებულის მიმართ ზღუდავს ქონებრივ უფლებას და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.

**შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ** - ყველაზე მსუბუქ აღკვეთ ღონისძიებას მიეკუთვნება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულის მიმართ „შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით“.

თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იმპერატიულ დათქმას აკეთებს, რომ ბრალდებულის მიმართ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შეიძლება ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომლის მიზანია ბრალდებულის უფლებების მინიმალური სტანდარტით შეზღუდვა და მისი მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში და სასამართლო განხილვისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება.

აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების განხილვისას სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ბრალდებულის პიროვნება უნდა უქმნიდეს ღრმა რწმენას, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში ბრალდებულის ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას და კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი და ჩართულობა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში, მისი ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, მისი წარსული, შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაში შემხებლობაში მყოფ პირებთან მისი ურთიერთობა.

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ გარკვეულ შეზღუდვებს აწებს პირისათვის. კერძოდ, მას ეკრძალება საცხოვრებელი ადგილის დატოვება, რაც გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას სხვადასხვა მიზნიდან (არასრულწლოვანი ბრალდებულის ოჯახი საცხოვრებლად მიდის სხვა ქვეყანაში, არასრულწლოვანს სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე უწევს ქვეყნიდან გასვლა) გამომდინარე, რაც შეუძლებელია პროცესის მწარმოებელი ორგანოს შესაბამისი ნებართვის გარეშე.

ასევე, თუნდაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში მან უნდა აცნობოს აღნიშნულის თაობაზე საგამოძიებო ორგანოს. თუმცა, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობას არ წარმოადგენს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა, იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე იმ პირის მიმართ, „რომელსაც არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და დროებით ცხოვრობს ნებისმიერ ადგილას.“<sup>21</sup> მთავარია, რომ მისი გამოყენებით მიღწეული იქნას ის მიზნები, რომლის პრევენციისათვისაც ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიება.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ ბრალდების მხარე უზრუნველყოფს შესაბამისი ოქმის გაფორმებას, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე ბრალდებულის მოვალეობები და მისი არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რომელსაც გაცნობის შემდეგ ხელს აწერს არასრულწლოვანი ბრალდებული მისი ინტერესების დამცველი ადვოკატისა და კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.

ამდენად, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაკლებად მძიმე და გაუფრთხილებელ დანაშაულზე, რა დროსაც გასათვალისწინებელია არასრულწლოვანის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისადმი და მისი ჩართულობა გამოძიებასა თუ სასამართლოში საქმის

---

<sup>21</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 583

განხილვის დროს, რაც სრულად უნდა უზრუნველყოფდეს აღნიშნული აღკვეთის ღონისძიებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

**პირადი თავდებობა** - პირადი თავდებობა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელ ნაკლებად მკაცრ აღკვეთ ღონისძიებას მიეკუთვნება, რომლის მიზანია „ბრალდებულის ქცევის უზრუნველყოფა ავტორიტეტული პირების მხრიდან კონტროლის განხორციელების გზით“,<sup>22</sup> რომლებიც უზრუნველყოფენ მის სათანადო ქცევას და გამოცხადებას საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში.

პირადი თავდებობის გამოყენების დროს აუცილებელია ბრალდებულის თანხმობა მის მიმართ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და იმ პირთა შესახებ, რომლებიც იკისრებენ ვალდებულებას პირადი თავდებობის გზით უზრუნველყონ ბრალდებულის სათანადო ქცევა, ასევე პირადი თავდებების თანხმობა. პირად თავდებებს უნდა გაეცნოთ იმ ბრალდების არსი, რასთან დაკავშირებითაც შეირჩევა აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენას.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, თავდები პირები აცნობიერებენ თუ არა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, თუ ისინი ვერ უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას, თანხმობას აცხადებენ თუ არა თავდებად დაუდგნენ აღნიშნულ პირს.

ხსენებული საკითხების გარკვევის შემდეგ სასამართლო განსაზღვრავს თავდებთა რაოდენობას, რომელიც შეიძლება იყოს რამდენიმე პირი. თავდებს ჩამოერთმევა შესაბამისი ხელწერილი და დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. თავდები შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ოჯახის წევრი, მეგობარი, ნათესავი, საზოგადოებრივი მოღვაწე, ავტორიტეტის მქონე პირი, „თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცნობადობა არ ნიშნავს პირად თავდებად შერჩევის აუცილებელ წინაპირობას, სასამართლომ უპირატესობა უნდა

<sup>22</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 585

მიანიჭოს იმ პირს, რომელსაც ობიექტურად შეუძლია მეთვალყურეობა განახორციელოს ბრალდებულზე და ბრალდებულისათვის მისი ავტორიტეტი იყოს შემაკავებელი ფაქტორი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაგან თავის შეკავებისა და სათანადო ქცევისა.<sup>23</sup>

თავდები უნდა იყოს ის პირი, რომელიც ისარგებლებს ბრალდებულისათვის და სასამართლოსთვის მაღალი ნდობის ფაქტორით. თუ ერთდროულად რამდენიმე თავდები პირი ახორციელებს არასრულწლოვან ბრალდებულზე მეთვალყურეობას, ამ შემთხვევაში ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. კერძოდ, თუ არასრულწლოვანი ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს, პირად თავდებს დაეკისრება ჯარიმა 100-500 ლარამდე ოდენობით, რადგან მან ვერ უზრუნველყო ბრალდებულის სათანადო ქცევა.

თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირად თავდებს ანიჭებს უფლებას, უარი თქვას დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, რაც მის პასუხისმგებლობას გულისხმობს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას არ შეუძლია თავი იმართლოს მისი ნებისგან დამოუკიდებლად თუ ვერ ახორციელებს კონტროლს, მაგალითად არასრულწლოვანი ბრალდებული არ დადის სკოლაში, ტრიალებს საექვო სამეგობრო წრეში, არ არის სახლში ხშირად ღამის საათებში. თუმცა, კანონმდებელი აკეთებს გამონაკლისს დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში, რაც გულისხმობს იმას, რომ თავდებს არ აქვს შესაძლებლობა მაგალითად სტიქიური უბედურებიდან გამომდინარე კონტროლი განახორციელოს არასრულწლოვან ბრალდებულზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირადი თავდებობა მიეკუთვნება მსუბუქ ალკვეთ ღონისძიებას, რომლის თანხმად პირადმა თავდებმა არასრულწლოვან ბრალდებულზე კონტროლის განხორციელების გზით უნდა უზრუნველყოს მისი სათანადო ქცევა და გამოცხადება როგორც საგამოძიებო ორგანოში, ისე სასამართლოში.

---

<sup>23</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 586

**მეთვალყურეობაში გადაცემა** - არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა კიდევ ერთ ნაკლებად მკაცრ აღკვეთ ღონისძიებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს რომ არასრულწლოვანი ბრალდებული შესაძლოა მეთვალყურეობაში გადაეცეს მშობელს, სხვა ახლო ნათესავს, მეურვეს, მზრუნველს ან სპეციალურ საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას იმ მიზნით, რომ აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს არასრულწლოვანის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის წერილობითი ვალდებულება.<sup>24</sup>

აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არასრულწლოვანი ბრალდებული თანახმა უნდა იყოს, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნეს მეთვალყურეობაში გადაცემა, ხოლო ის პირი ან დაწესებულება, ვისაც უნდა გადაეცეს არასრულწლოვანი ბრალდებული მეთვალყურეობაში თანხმობას უნდა აცხადებდეს რომ მეთვალყურეობას გაუწევს ბრალდებულს და უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას, ასევე მას უნდა განემატოს თუ რა ქმედებაშია ბრალდებული არასრულწლოვანი, რა სასჯელი არის მოსალოდნელი მისთვის ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც თან სდევს თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას.

სასამართლომ მეთვალყურეობაში გადაცემის შესახებ აღკვეთის ღონისძიების განხილვისას უნდა გაითვალისწინოს მეთვალყურე პირის თუ ორგანიზაციის დამოკიდებულება და ჩართულობა არასრულწლოვანის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, თუ იგი რამდენად ეფექტურად შეძლებს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებით გამოყენებული ვალდებულებების შესრულებას, აღნიშნულის თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ასევე ითვალისწინებს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ მეთვალყურის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარის შუამდგომლობის

<sup>24</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015, მ. 61

საფუძველზე სასამართლოს მიერ მის დაჯარიმებას 100-500 ლარამდე ოდენობით, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეთვალყურის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამონვეული უნდა იქნეს ობიექტური მიზეზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „პირადი თავდებობის და მეთვალყურეობაში გადაცემის ამ სახის აღკვეთის ღონისძიებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს მათი უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას და შემოიფარგლება მხოლოდ თავმდებთა და მეთვალყურეთა პასუხისმგებლობის დანესებით, განსხვავებით სხვა აღკვეთის ღონისძიებისა.“<sup>25</sup>

თუმცა, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანესების შემდეგ ხდება მტკიცებულებების მოპოვება და დამაგრება, რის საფუძველზეც შეიძლება მის მიმართ უკიდურეს შემთხვევაში საპროცესო იძულების ღონისძიების - დაკავების გამოყენება და არსებული ფაქტების და ინფორმაციის საფუძველზე ბრალის წარდგენა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედების შესაძლო ჩადენისათვის.

აღნიშნული წარმოადგენს მტკიცებულებით (ფაქტობრივ) საფუძველს, რაც ფორმალურ (საპროცესო) საფუძველთან ერთად უნდა შეფასდეს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მიმართ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულზე განრიდების გამოყენების შესაძლებლობა და შეფასება, აღნიშნული უზრუნველყოფს თუ არა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების მხედველობაში მიღებით ბრალდების მხარე იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ნაკლებად მკაცრი

<sup>25</sup> მ. მამნიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2015, გვ. 136

აღკვეთის ღონისძიებით მიმართოს სასამართლოს, ან არ ჩათვალოს რომ საჭიროა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და განისაზღვროს მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღი, გაფორმდეს განრიდების ხელშეკრულება ან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება არასაპატიმრო სასჯელის (ჯარიმა, პირობითი მსჯავრი, შინაპატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა) გამოყენებაზე და ყოველივე აღნიშნული მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული კანონით გათვალისწინებული არაერთი შეღავათი არ არის შემაკავებელი ფაქტორი და ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო ქცევას. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ის არასრულწლოვანი პირები, რომელთა მიმართაც არაერთხელ გამოყენებულ იქნა არასაპატიმრო სასჯელი ან იმყოფებიან ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების ქვეშ, მათ მიმართ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულია ასევე სისხლის სამართლებრივი დევნა და კვლავ ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენაში იმხილებიან მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ პირებს აქვთ დაუსჯელობის განცდა, რომ ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში მიაჩნიათ რომ კანონი მათი როგორც არასრულწლოვნის მიმართ განსახვავებულ მიდგომას აწესებს და ითვალისწინებს მათ საუკეთესო ინტერესს.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები,<sup>26</sup> რომელიც მოცემულია ქვემოთ არსებულ ცხრილებში:

ცხრილი N1

2017 წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო	22	16	37	17	28	15
პირობითი მსჯავრის						

<sup>26</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://www.geostat.ge>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 08.05.2019

გამოსაცდელი ვადის პერიოდში	4	2	3	3	1	2
----------------------------	---	---	---	---	---	---

ცხრილი N2

2017 წელი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო	18	8	31	37	28	33
პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის პერიოდში	0	0	0	0	0	0

ცხრილი N3

2018 წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო	30	55	45	33	57	28
პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის პერიოდში	4	4	6	7	10	3

ცხრილი N4

2018 წელი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო	25	8	26	24	23	39
პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის პერიოდში	4	0	4	1	5	4

ცხრილი N5

2019 წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო	29	29				
პირობითი მსჯავრის						

გამოსაცდელი ვადის პერიოდში	6	6				
----------------------------	---	---	--	--	--	--

მოცემული სტატისტიკური მონაცემების თანხმად ნათლად ჩანს, რომ 2017 წელს გაცილებით ნაკლები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა არასაპატიმრო სასჯელის (პირობითი მსჯავრის პერიოდში) 2018 წლის და 2019 წლის ორი თვის სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობასთან დაკავშირებით ასაკის მიხედვით<sup>27</sup>, რაც მოცემულია ქვემოთ არსებულ ცხრილებში.

ცხრილი N6

2016 წელი	
სულ	146
14-15 წლები	39
16-17 წლები	107

ცხრილი N7

2017 წელი	
სულ	197
14-15 წლები	55
16-17 წლები	142

აღნიშნულიდან მონაცემებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ 2016 წელთან შედარებით 2017 წელს გაზრდილია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა, განსაკუთრებით - 16-17 წლის ასაკში.

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, <http://www.supremecourt.ge>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 08.05.2019

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების სახეების - პირადი თავდებობის და მეთვალყურეობაში გადაცემის მიხედვით, ვფიქრობ, რომ მართალია, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, მაგრამ პირადი თავდებობის და მეთვალყურეობაში გადაცემის შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში არასრულწლოვნის შესაბამის პასუხისმგებლობას და უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას და შემოიფარგლება მხოლოდ პირად თავდებობითა და მეთვალყურეთა პასუხისმგებლობით.

ამასთან, არასრულწლოვანის მიმართ გამოყენებული ყოველი კანონით გათვალისწინებული შეღავათი წამახალისებელ სახეს იღებს ახალი დანაშაულის ჩადენის კუთხით, რაც დასტურდება მოცემული სტატისტიკური მონაცემებითაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საჭიროა გაკეთდეს რაიმე შენიშვნა არასრულწლოვანთა მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ.

**პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ** - პატიმრობა, სხვა არასაპატიმრო სასჯელებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების მკაცრ სახეს, რომლის გამოყენების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლის არსებობა - დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე, თუმცა ფაქტობრივ საფუძველთან ერთად აუცილებელია არსებობდეს ფორმალური ანუ (საპროცესო) საფუძვლები კერძოდ - დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

პატიმრობა გულისხმობს ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას გარე სამყაროსგან, ასევე მისი უფლებების შეზღუდვასაც, რომელთა რეალიზაცია შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას. „პატიმრობა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობას ზომას და არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს, მისი გამოყენება პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს.“<sup>28</sup>

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება დაკავშირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, რაც საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს მიეკუთვნება და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით არის მითითებული ასევე „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლში, რომლის მიხედვითაც „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება, არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა ამავე მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად.“<sup>29</sup>

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ზოგადი წესისაგან განსახვავებული სტანდარტებია გასათვალისწინებელი როგორც საერთაშორისო აქტებით, ისე შიდა კანონმდებლობით. არასრულწლოვანთა მართლმსჯულების კოდექსი ადგენს ზოგად პრინციპებს, კერძოდ: „მართლმსაჯულების პროცესში უპირველ ყოვლისა გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.“<sup>30</sup>

ამავე კოდექსის მიხედვით დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი.

<sup>28</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 590

<sup>29</sup> ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950, მ. 5

<sup>30</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015, მ. 4

საქართველოს კანონდებლობის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

- სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;
- პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;
- მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

კანონდებელმა პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მკაცრად განერილი საფუძვლების გამოყენების შემთხვევაში განსაზღვრა, აღნიშნული საკითხების განხილვისას როგორც საგამოძიებო ორგანო, ასევე სასამართლო ვალდებულია განსაკუთრებულად მიუდგეს არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხს, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვან ბრალდებულს შემხებლობა არ ჰქონია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებასთან და პირველად ხდება მისი შემხებლობა საგამოძიებო ორგანოსთან, შემდეგ კი სასამართლოსთან და მართლმსაჯულებასთან აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვისას.

აღნიშნულმა არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვანი ბრალდებულის ფსიქოლოგიური სტრესი. ამასთან „პეკინური წესების“ თანახმად, მოსამართლე ან/და სხვა უფლებამოსილი პირი ან ორგანო დაყოვნების გარეშე განიხილავს არასრულწლოვანი ბრალდებულის გათავისუფლების საკითხს,<sup>31</sup> შესაბამისად არასრულწლოვანი პირის ბრალდების საქმეზე, (თუ ბრალდებული დაკავებულია)

<sup>31</sup> გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, „პეკინური წესები“, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, წესი N10.2

ნებისმიერი უფლებამოსილი პირი, ვალდებულია პირველ რიგში განიხილოს მისი გათავისუფლების საკითხი.

პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რაც გულისხმობს არასრულწლოვანი ბრალდებულის მხრიდან ისეთი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კერძო ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, „გაუმართლებელია დანაშაულის სიმძიმის გამო არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის არგუმენტირებულობა.“<sup>32</sup> თუ აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს, რომ მოსალოდნელი სასჯელის ზომამზე მითითების საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით არასრულწლოვანი მიემალება საგამოძიებო ორგანოს (საგამოძიებო ორგანოს მხრიდან არაერთხელ გაეგზავნა უწყება საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების თაობაზე და არ ცხადდება, მისი ოჯახის წევრებისათვის უცნობია მისი ადგილსამყოფელი, არალეგალური გზებით სცადა საზღვრის გადაკვეთა და ა.შ).

„ადამიანის უფლებათა ევროპული საამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ იმ არგუმენტით პიროვნებისათვის პატიმრობის შეფარდება რომ მან მძიმე ხასიათის დანაშაული ჩაიდინა მას შესაძლოა მომავალში თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს დაუშვებელია.“<sup>33</sup>

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ასევე საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის N1გ/178-15 განჩინება, სადაც განმარტებულია, რომ „მიმალვის საფრთხე შეიძლება გონივრულად დადგინდეს ისეთ ფაქტორებზე მითითებით, როგორიცაა: ა. პირს ადრეც უცდია კანონიერი სასჯელისათვის თავის არიდება; ბ. არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები ან სხვა გარემოებები და მხოლოდ მოსალოდნელი

<sup>32</sup> Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011. S. 564

<sup>33</sup> ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ანალიზი, გამომც. ფონდი ღია საზოგადოება, თბ., 2010, გვ. 46

სასჯელის სიმკაცრეზე მითითება არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალებას.<sup>34</sup>

თუმცა, გასაზიარებელია ის აზრი, რომ „არა ყველა დანაშაულზე იყოს პატიმრობა გამოყენებული, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ მათზე, რომლებიც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში ხვდებიან“.<sup>35</sup>

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების მეორე მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მისი გამოყენება ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა.

მიმალვის საფრთხის დასაბუთებისათვის საკმარისი არაა, მხედველობაში იქნეს მიღებული მოსალოდნელი სასჯელის ზომა. აღნიშნული ერთობლიობაში უნდა დასტურდებოდეს სხვა რელევანტური გარემოებებით, რაც შეიძლება განპირობებული იყოს მაგალითად როდესაც არასრულწლოვანი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მისი მოძიება ვერ ხერხდება, ყალბი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით ან არალეგალური გზით ცდილობს საზღვრის გადაკვეთას ან/და დაკავებული იქნა საზღვრის გადაკვეთის მცდელობის დროს.

ამასთან, თუ ბრალდებულს არ გააჩნია კონკრეტული საცხოვრებელი ადგილი და მასთან კონტაქტი შესაძლებელია აღნიშნულიც არ შეიძლება შეფასდეს მიმალვის საფრთხედ. ხსენებული გარემოებები შესაძლოა მოსალოდნელ სასჯელთან ერთობლიობაში ასაბუთებდეს მიმალვის საფრთხის დასაბუთებულ ვარაუდს. მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლაში იგულისხმება ის გარემოება, რომ მიმდინარე გამოძიების პერიოდში არსებობს არასრულწლოვანი ბრალდებულის მხრიდან გარკვეული ქმედებების განხორციელების, მაგალითად შესაძლო

<sup>34</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 186

<sup>35</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 185

დანაშაულებრივი ქმედება თუ ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ და მხოლოდ ერთი პირი იქნა დაკავებული, ხოლო დანარჩენი პირების მოძიებისა და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაუფლებული ნივთების მოპოვების მიზნით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, ასევე კონკრეტული ფაქტის შემსწრე პირები წარმოადგენენ ბრალდებულის მეგობრებს, ნაცნობებს, რომლებიც ფლობენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ბრალდებულმა შესაძლოა გამოიყენოს პირადი ურთიერთობები და მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

რაც შეეხება არასრულწლოვანი ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის დასაბუთებულ ვარაუდს, აღნიშნული გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებები ერთობლიობაში უნდა ქმნიდეს არასრულწლოვანი ბრალდებულის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეს.

აღნიშნული გულისხმობს, რომ ბრალდებულის მიმართ არაერთხელ იქნა გამოყენებული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, ასევე გაფორმებული იქნა განრიდების ხელშეკრულება, მხარეთა შორის მიღწეული პირობების გამოყენებით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და არასრულწლოვან ბრალდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა არასაპატიმრო სასჯელის რომელიმე სახე, თუმცა მის მიმართ გამოყენებულმა კანონით გათვალისწინებულმა შეღავათებმა ვერ უზრუნველყო მისი საქციელის სწორად განსაზღვრა და კვლავ ბრალი ედება ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენაში. შესაბამისად, თუ მის მიმართ არ იქნება გამოყენებული ყველაზე უკიდურესი ღონისძიება, პატიმრობის სახით სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.

თუმცა, ვფიქრობ, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ყოველთვის არ არის გამართლებული. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონკრეტული

ფაქტობრივი გარემოებებიდან და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე თავისუფლების შეზღუდვის მსუბუქ ფორმაზე.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის 1გ/178-15 განჩინება, რომლის თანახმად გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეფარდებული პატიმრობა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით ვალდებულებებთან ერთად და არასრულწლოვანი ბრალდებული გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

აღნიშნულ განჩინებაში განმარტებულია, რომ „სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის ან არასაკმაო ინტელექტუალური მომზადების ან გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება (რომელიც მართალია არის სავსებით კანონიერი ქმედება იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩაიდინა დანაშაული) და აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე

კონკრეტული ფორმის შერჩევა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და გამოყენებული, ნებისმიერი ღონისძიება ყველა შემთხვევაში იყოს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი (პროპორციული), ხოლო უპირატესობა ყოველთვის მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, რათა უპირველესად გათვალისწინებული იქნას არასრულწლოვნის მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.<sup>36</sup>

არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა აღემატება მისი თავისუფლებაში ყოფნის ინტერესს, „თავისუფლების ინტერესი ორ მხრივ შეიძლება იყოს გაგებული თანაფარდობის პრინციპის თანახმად არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა მოცემულ მომენტში უფრო დიდი უპირატესობით სარგებლობს, ვიდრე თავად ბრალდებულისათვის თავისუფლებაში მისი დარჩენა, აღნიშნული საკითხით შედარებული არის ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ორი ღირებულება პატიმრობა თავისუფლებასთან.

რა თქმა უნდა, თავისუფლების პატიმრობასთან შედარება გაუმართლებელია. თავისუფლება არის ადამიანის მნიშვნელოვანი მდგომარეობა, რომელსაც იგი ყოველთვის ესწრაფვის. ამასთან, „პატიმრობამ არ უნდა გამოიწვიოს იმაზე მეტი ზიანი, რასაც შეიძლო მისთვის თავისუფლებაში ყოფნას გამოეწვია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობა მოზარდისთვის არის თავზარდამცემი, იგი ყოველთვის შედეგს იწვევს მოზარდის ფსიქიკაზე. „მოზარდები მძიმედ განიცდიან მათთვის სანდო ნაცნობი სოციალური გარემოსგან მონყვეტას“.<sup>37</sup>

ამასთან, პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს საგამონაკლისო სახით და არ უნდა იყოს მიმართული დასჯის მიზნისთვის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (ც) ქვეპუნქტის მიხედვით, წინასწარი პატიმრობის

<sup>36</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო, <http://www.tbappeal.court.ge>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 08.05.2019

<sup>37</sup>მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 186

ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი პირობაა მნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი.

ასევე, „ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი წინასწარი პატიმრობის აუცილებელი პირობაა. დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის - „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობის დასამტკიცებლად ნაკლები მტკიცებულებაა საჭირო, ვიდრე მსჯავრდების დასაბუთებისას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი არსებობა ობიექტურ ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. ევროსასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საფუძვლიანი ეჭვი „ვარაუდობს იმ ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ ეჭვმიტანილ პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა. ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე“.<sup>38</sup> გარდა ამისა, საპროცესო თვალსაზრისით პირის დაპატიმრება უნდა მოხდეს „უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად.“<sup>39</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეთარდოს, თუ მან ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამატყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.“ აღნიშნულმა კოდექსმა იმპერატიული დათქმით, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ არ შეიძლება იქნეს

<sup>38</sup> Campbell and Hartley v. UK, 1990 წელი, no 12244/86

<sup>39</sup> შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2009, გვ. 470

გამოყენებული უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ერთგვარ ჩიხში მოაქცია როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები.

იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია არაერთი კანონით გათვალისწინებული შეღავათი (მის მიმართ გაფორმებულია განრიდების ხელშეკრულება, სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე დანყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და განსზღვრულია მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღი), რომელიც არ გახდა ბრალდებულისათვის შემაკავებელი ხასიათის, მისი შემდგომი ქცევის გარანტი და მას ბრალად ედება კვლავ განზრახი, მხოლოდ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, ვფიქრობ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა აღემატება მის საუკეთესო ინტერესს, რადგან ის გარემო, რომელშიც არასრულწლოვანი ტრიალებს, უარყოფითად აისახება მის განვითარებაზე და ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას პატიმრობა, რადგან არასრულწლოვანი ბრალდებულის ყველა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს არ შეიძლება დაეყვემდებაროს ლიბერალურ მიდგომას, რაც არ უნდა გულისხმობდეს ბრალდებულის წახალისებას კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ.

იგი უნდა ემსახურებოდეს მისი ინტერესების დაცვას მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. თუმცა, ვფიქრობ, რომ შემუშავებული უნდა იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები არასრულწლოვანთა მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა განსხვავებული მიდგომა ჩამოაყალიბა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვის თვალსაზრისით. აღნიშნული კოდექსის თანახმად: „თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან“, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულის დაკავებიდან ან ბრალის წარდგენიდან წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს 60 დღის ვადაში.

აღნიშნული კი საგამოძიებო ორგანოს თუ სასამართლოს იმპერატიულად შემჭიდროებულ ვადებს უწესებს და ასევე მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა საქმეთა გამოძიებას და სასამართლოში საქმის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. ასეთივე მიდგომას აყალიბებს გაერო-ს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რომლის თანახმად, პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში სასამართლომ და საგამოძიებო ორგანოებმა პრიორიტეტულად მაქსიმალურად სწრაფად განიხილონ საქმეები, „რათა არასრულწლოვნები საპატიმროში მაქსიმალურად მოკლე დროით იმყოფებოდნენ.“<sup>40</sup> ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის ვადა 9 თვის ნაცვლად შემცირებულია და 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

აღნიშნული კოდექსი ასევე მნიშვნელოვან გარემოებაზე მიუთითებს. კერძოდ, როდესაც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლეს ეკისრება შესაბამისი ვალდებულება, რომ წინასასამართლო სხდომაზე განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, მიუხედავად იმისა, დაცვის მხარის მიერ რა შუამდგომლობა იქნება დაყენებული აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ საქმის განხილვის დროს მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით ყოველ 20 დღეში ერთხელ უნდა განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი - ანუ დღეის მდგომარეობით ის საფრთხეები, რაც არსებობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას, ისეთივე მაღალი სტანდარტით არსებობს თუ არა და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში იქნება თუ არა უზრუნველყოფილი ბრალდებულის სათანადო ქცევა.

---

<sup>40</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, წესი 17

არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის გამოყენების თავისებურებანი საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით - არასრულწლოვანთა უფლებები არაერთი საერთაშორისო აქტის მიხედვით არის აღიარებული და დაცული. 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის თანხმად, ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება აქვთ, ყველა სფეროში მათი უფლებები მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული. ამავე კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად:

„ა) არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა, არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რაც გათავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ მიესჯებათ დანაშაულისათვის 18 წლამდე ასაკის პირებს;

ბ) არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში;

გ) ყოველი თავისუფლებაალკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნის გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლებაალკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის და ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმონერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა;

დ) ყოველ თავისუფლებაალკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარებით, აგრეთვე უფლება, გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და უფლება,

რომ დაუყოვნებლივ მიიღონ მათ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური მოქმედების მიმართ.“

ადამიანის უფლება და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის განვითარების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაშვებია „არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად.“

ასევე გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები - არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ „ჰეკინის წესების“ მე-17 მუხლი შეიცავს 4 ძირითად კრიტერიუმს, რა შემთხვევაში შეიძლება იქნას გამოყენებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობა, კერძოდ:

„ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს არამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ასევე არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მოთხოვნებისა, ასევე საზოგადოების მოთხოვნების პროპორციული;

არასრულწლოვნის პირადი თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანვრილებით განხილვის შემდეგ და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით;

პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევის არაერთჯერადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიება;

არასრულწლოვნის კეთილდღეობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მისი საქმის განხილვისას.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებალკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაზღვრავს: „პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში („ჯერ გაუსამართლებელი“) არასრულწლოვნები ითვლებიან უნდაშულოებად და არასრულწლოვანის დაკავება სასამართლომდე მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან არიდებული და გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. შესაბამისად მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შეფარდებულ იქნეს ალტერნატიული ღონისძიება.“<sup>41</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს ხელმძღვანელობს ყველა იმ საერთაშორისო აქტით, რომლითაც საყოველთაოდ აღიარებულია ბავშვთა უფლებები. ამასთან, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლითაც დარღვეულ იქნა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნები.

კერძოდ, „ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ბატონი ასენოვი დაკავებული იქნა 1992 წელს (14 წლის ასაკში) შოუმენში საბაზრო მოედანზე აზარტული თამაშების დროს იმ პოლიციელის მიერ, ვინც ასრულდებდა სამსახურებრივ მოვალეობას. მშობლების მოთხოვნის მიუხედავად, რომ დაკავებული გაეთავისუფლებინათ, პოლიციელებმა ყურადღება არ მიაქციეს მათ მოთხოვნას. ამასთან მოვიდა სხვა ორი პოლიციელი, რომლებიც ასენოვს ურტყამდნენ ხელკეტებს, ხოლო ასენოვი მათ წინააღმდეგობას არ უწევდა.

მშობლების მოთხოვნის მიუხედავად, ასენოვი გადაყვანილი იქნა პოლიციის შესაბამის განყოფილებაში. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, „რაც გულისხმობს იმას, რომ ასენოვი არ იყო უზრუნველყოფილი საქმის გონივრულ ვადაში განხილვით და მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლომ ბატონი ასენოვის მიმართ, როდესაც განიხილა დაპატიმრების კანონიერება, ორივე შემთხვევაში უარი თქვა გათავისუფლებაზე იმ მოტივით, რომ მას ბრალი ედებოდა რამდენიმე სერიოზული დანაშაულის შესაძლო ჩადენაში, მისი კრიმინალური საქმიანობა ატარებდა სისტემატიურ ხასიათს და

<sup>41</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებალკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, წესი 17

არსებობდა მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე მისი გათავისუფლების შემთხვევაში.

ამასთან, სასამართლო ადასტურებდა, რომ განმცხადებელი იყო არასრულწლოვანი და ბულგარეთის კანონდებლობის შესაბამისად მისთვის წინასწარი პატიმრობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა შეეფარდებინათ. ასევე, აღნიშნული საქმის სასამართლოსთვის გადაცემას დასჭირდა ორი წელი, რაც ხანგრძლივ გამოძიებას მოითხოვდა.

თუმცა, სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, 1995 წლიდან 1996 წლამდე, ერთი წლის განმავლობაში, გამოძიების მხრივ არაფერი გაკეთებულა, არც არაფერი შეუგროვებიათ და ბატონი ასენოვი მხოლოდ ერთხელ დაკითხეს. თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე შეიძლებოდა სხვა საშუალების გამოყენება, განმცხადებელმა მრავალჯერ შეიტანა სარჩელი გათავისუფლების შესახებ, თუმცა თითოეულ შემთხვევაში სათანადო ორგანოებისათვის შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალების ნაცვლად, ასლები რომ გადაეგზავნათ გამოძიება არ შეჩერდებოდა და არც სასამართლო პროცესი გაჭიანურდებოდა.<sup>42</sup>

ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საქმე - „მუბილანზილა მაიეკა და კანიკი მიტუნგა ბელგიის წინააღმდეგ“. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, არასრულწლოვანი კანიკი მიტუნგა, რომელიც წარმოშობით იყი კონგოდან, ბრიუსელის აეროპორტში დაკავებული იქნა დოკუმენტის არქონის გამო, ხოლო შემდეგ მოხდა მისი დეპორტაცია კონგოში სოციალურ მუშაკთან ერთად.

ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა დარღვევა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: კანიკი მიტუნგა დაკავების შემდეგ მოთავსებულ იქნა დახურულ ცენტრში იმავე პირობებში, როგორშიც იყვნენ არალეგალი უცხოელი სრულწლოვნები, არასრულწლოვნის დეპორტაცია მოხდა მიუხედავად იმისა რომ გასაჩივრების 24 საათიანი პერიოდი ჯერ კიდევ არ იყო გასული. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის §1 „დ“ პუნქტი ისე არ უნდა

<sup>42</sup> Assenov v Bulgaria, 24760/94 28.10.1998

იქნეს გაგებული, თითქოს ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაშია შესაძლებელი არასრულწლოვნის დაკავება. იგი შეიცავს სპეციფიკურ, მაგრამ არა ამომწურავ ჩამონათვალს არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდებისა.<sup>43</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა პრიორიტეტულია არაერთი საერთაშორისო აქტის მიხედვით და ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი საუკეთესო ინტერესი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს, რაც ასევე არის გათვალისწინებული და სრულადაა ასახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში.

### 2.3 ალკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის მიმართ ალკვეთის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ანუ იმ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

პირის მიმართ კონკრეტული ალკვეთის ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნას მკაცრად განწერილი მიზნებისა და საფუძვლების შესაბამისად. ამავე კოდექსის მიხედვით ალკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებია:

- ბრალდებული მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოში;
- გაანდგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- ჩაიდენს ახალ დანაშაულს;

ალკვეთის ღონისძიების გამოყენებისას აღნიშნული საფუძვლებიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს სახეზე, რათა პირის მიმართ არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ანუ რელევანტური ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რაც მიანიშნებს პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე -

<sup>43</sup> Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium, ECHR, no. 13178/03, 12.10.2006

აღნიშნული კი გულისხმობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მტკიცებულებით საფუძველს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.“

აღნიშნული საკითხები კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, ამასთან ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არასრულწლოვანი ბრალდებულის წარსულის და პიროვნების გათვალისწინება გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული დღეის მდგომარეობით არ არის ნასამართლევი პირი და აღნიშნულ ფაქტამდე არ არის შემჩნეული სხვა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესაძლო ჩადენაში, მათ შორის არ არის ადმინისტრაციულ სახდელდადებული.

ასევე წარსულში რა სახის დანაშაულის ჩადენისათვის იყო ნასამართლევი პირი, რამდენჯერ, მის მიმართ რა სახის კანონით გათვალისწინებული შელავათი იქნა გამოყენებული (ამნისტია, პირობით ვადამდე გათავისუფლება, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გათავისუფლდა ძირითადი და დამატებითი სასჯელის მოხდისაგან, მოეხსნა ნასამართლობა), თუ მის მიმართ გამოყენებულმა შელავათებმა ვერ უზრუნველყო მისი სათანადო ქცევა და ვერ გახდა მისი შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების შემაკავებელი გარანტი.

აღნიშნული ახასიათებს არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნებას უაყოფითად, იგი გულგრილად ეკიდება ეკიდება კანონით დადგენილ წესებს და მის მიმართ კანონის შესაბამისად გამოყენებული შელავათები არ წარმოადგენს შემაკავებელ ფაქტორს.

ბრალდებულის ასაკს მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით არასრულწლოვანთან მიმართებით, რადგან იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და სხვადასხვა საკითხებს აღიქვამს განსხვავებულად, ვიდრე სრულწლოვანი ადამიანი. დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების დროს შესაძლოა მას არ ჰქონდეს გააზრებული, თუ მის ქმედებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ვერ გააცნობიეროს მისი ქმედების ხასიათი და ხარისხი სრულფასოვნად, რაც დაკავშირებული შეიძლება იყოს მის მცირე ასაკთან, არასაკმაო ინტელექტუალურ მომზადებასთან და გამოუცდლობასთან

ამიტომ, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ასაკს და მის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი და უპირატესობა უნდა მიანიჭოს კონკრეტულ შემთხვევაში მის საუკეთესო ინტერესს.

ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანი ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი მოკლებულია ოჯახის წევრებისაგან სათანადო ყურადღებას. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებული არ დადის სკოლაში და მთელ დღეს ატარებს ქუჩაში მეგობრებთან ერთად.

უმეტესად არასრულწლოვანს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ მშობლები, აღნიშნულს კი შესაძლოა სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდეს (მშობლები არიან განქორწინებული, დედა საზღვაგარეთ არის წასული სამუშაოდ და ა.შ). მათი ქცევის შესაბამისი კონტროლი ვერ ხდება ოჯახის წევრების მხრიდან.

რაც შეეხება არასრულწლოვანის ქონებრივ მდგომარეობას, მას ძირითადად დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო არ გააჩნია და დამოკიდებულია მშობლების მატერიალურ მდგომარეობაზე, რაც გულისხმობს ოჯახის წევრთა შემოსავალს თვის განმავლობაში, ასევე ოჯახი შესაძლოა რეგისტრირებული იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

აღკვეთის ღონისძიების განხილვისას სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებით საფუძველთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს ფორმალური

(საპროცესო) საფუძველი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იგივე საფუძველს ითვალისწინებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, როგორც სრულწლოვანი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი არის ბრალდებულის მიმალვა. პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის ზომა გასათვალისწინებელი ფაქტორებია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად, მაგრამ მხოლოდ აღნიშნულზე აბასტრაქტულად მითითება არ შეიძლება საფუძველად დაედოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. იგი უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ გარემოებებთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „შესაძლო სასჯელის სიმკაცრე ის ელემენტია, რომელიც მიანიშნებს მიმალვის საფრთხეზე, მაგრამ სასამართლოს განმარტებით ეს საფრთხე ვერ შეფასდება მხოლოდ ამ საფუძველით, ის უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ ფაქტორებზე დაყრდნობითაც.“<sup>44</sup> მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას იმ გარემოებაზე მითითება, რომ პირს არაერთხელ აქვს გადაკვეთილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არ არის საკმარისი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი დაკავებულ იქნა საზღვარზე გადასავლისას ან არალეგალური გზით ცდილობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დატოვებას.

თუმცა, თუ „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ ბრალდებულს არაერთხელ უფიქსირდება სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, აღნიშნული გარემოება არ უნდა შეფასდეს მიმალვის საფრთხედ, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბრალდებული საზღვრის გადაკვეთის შემდეგ უკან ბრუნდება საქართველოში“<sup>45</sup>. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თუ

<sup>44</sup> Tomasi v. France, § 98; Mansur v. Turkey, § 55; Jecius v. Lithuania § 94

<sup>45</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 594

ბრალდებულს ჰყავს საზღვაგარეთ მეგობრები, ოჯახის წევრები, ნათესავები, აღნიშნული წარმოადგენს მიმალვის საფრთხის აუცილებელ გარემოებებს.

იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულ იქნა და ბრალი წარედგინა საქართველოში უცხოელ მოქალაქეს, სხვა ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მიმალვის საფრთხედ. აღნიშნული გამყარებული უნდა იქნეს სხვა ფაქტობრივი გარემოებებით. ამასთან, ბრალდებულს თუ არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აქვს დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, ჰყავს ოჯახი, აღნიშნული გარემოებები ამცირებს და შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს მისი მხრიდან მიმალვის საფრთხისა.

თუმცა, დანაშაულის სიმძიმესთან და მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის ზომასთან ერთად მნიშვნელოვანია მიმალვის საფრთხის არსებობა იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა დაკავებისას სცადა მიმალვა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, თუ მისთვის ცნობილი იყო, რომ იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელზეც მოწმის სახით იქნა გამოკითხული, დაწყებულია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალის წარსადგენად თავი აარიდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით უნდა დასტურდებოდეს, რომ ბრალდებულს გაეგზავნა უწყება საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების შესახებ, მისი ოჯახის წევრებისათვის უცნობი უნდა იყოს ბრალდებულის ადგილსამყოფელი, მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება. აღნიშნული გარემოებები მიანიშნებს მისი მხრიდან მიმალვის საფრთხეზე.

ასევე მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, რაც გულისხმობს თავის მხრივ მოწმეებზე ზემოქმედებას და გამოძიებისათვის ხელის შეშლას საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებაში.

მოწმეებში იგულისხმებიან ის პირები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლოა იმყოფებიან შემხებლობაში და ფლობენ საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ასეთ

პირებს შესაძლოა წარმოადგენდნენ ბრალდებულის მეგობრები, კლასელები, მეზობლები. გათვალისწინებელი უნდა იყოს, თუ რა დამოკიდებულება გააჩნია არასრულწლოვან ბრალდებულს აღნიშნულ პირებთან და რა სახით შესაძლოა მოახდინოს მათზე ზემოქმედება.

ზემოქმედებაში შესაძლოა იგულისხმებოდეს დაშინება, ძალადობა, მუქარა, იძულება, ბრალდებულის მიერ განხორციელებული ყველა აღნიშნული ქმედება უნდა ემსახუროდეს გარკვეულ მიზანს, რაც შეიძლება იყოს მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და მისთვის სასურველი ინფორმაციის მიღება. მაგალითად, თუ დანაშაულებრივი ქმედება განხორციელებულია არასრულწლოვან ბრალდებულთა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და დაკავებული იქნა ჯგუფის მხოლოდ ერთერთი მონაწილე, მისი თავისუფლებაში ყოფნით იქმნება მონშეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, მითუმეტეს როდესაც ბრალდებული არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ბრალდებული თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში შესაძლოა დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირებს, რომლებთანაც აკავშირებს გარკვეული ურთიერთობები, შეუთანხმდეს საერთო პოზიციაზე და აღნიშნულით კი ადგილი აქვს მისი მხრიდან მტკიცებულებების ფაბრიკაციას მისთვის სასურველი ჩვენების მიღების გზით.

ასევე, მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების განხილვის დროს დაცვის მხარის სასამართლო სხდომაზე თუ წარმოდგენილი იქნას დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა იმის თაობაზე, რომ მას არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია და არ სურს მის მიმართ გამოყენებული იქნას ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

აღნიშნული გარემოება შესაძლოა შეფასდეს დაზარალებულზე ზემოქმედებისა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურების საფრთხედ, რომელზეც გამოძიების მიერ მოპოვებული სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები უნდა დამაგრდეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „სასამართლომ უნდა გაანალიზოს ისეთი გარემოებებიც, როგორცაა, მაგალითად გამოძიების/სასამართლო განხილვის მიმდინარეობა, ბრალდებულის პიროვნება, მისი ქცევა დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, სხვა სპეციფიკური მახასიათებლები, რაც გაამყარებს შიშს, რომ მას ობიექტურად შეუძლია ბოროტად გამოიყენოს თავისუფლება მტკიცებულებათა განადგურების ან გაყალბების მიზნებისთვის.“<sup>46</sup>

რაც შეეხება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ გამოძიებისასთვის საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას, აღნიშნული გულისხმობს ბრალდებულის მიერ მისი მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღკვეთის ღონისძიების განხილვამდე გამოძიების მიერ ხდება იმ მტკიცებულებების (ფაქტებისა და ინფორმაციის მოპოვება), რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ქმნის საფუძველს ბრალდებულის მიერ შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა, ხოლო აღკვეთის ღონისძიება კი გამოიყენება იმისათვის, რომ გამოძიების დასრულებამდე ან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბრალდებულისთვის გამოყენებული ღონისძიება იყოს შემაკავებელი ხასიათის.

აღკვეთის ღონისძიების განხილვის შემდეგ კვლავ გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები და არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვება და დამაგრება. მაგალითად, თუ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაში დანაშაულებრივად დაუფლებული ნივთების მოძიებისა და ამოღების მიზნით, თუ დანაშაულებრივი ქმედება განხორციელებულია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები აღნიშნული ქმედების მონაწილე პირთა

---

<sup>46</sup> Aleksandr Makarov v Russia ECtHR, 12/03/2009, §130

ვინაობის დადგენის მიზნით, თუ ბრალდებულმა ერთხელ უკვე სცადა დანაშაულის ჩადენის იარაღის განადგურება ან გადაძალვა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით შესაძლოა ბრალდებულმა ხელი შეუშალოს გამოძიებას საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებაში.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია ასევე ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე აპელირებისას მომავალში შესაძლო დანაშაულის ჩადენის საფრთხე უნდა გამომდინარეობდეს ბრალდებულის პიროვნებიდან, მისი წარსულიდან და მისი დამოკიდებულებიდან დანაშაულებრივი ქმედებისადმი.

ბრალდებულის ნასამართლობის მხედველობაში მიღებით არ გამოირიცხება ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული შესაძლოა წარსულში არაერთხელ იყოს გასამართლებული განზრახი, მათ შორის ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენისათვის და ამჯერადაც ბრალი ედებოდეს ანალოგიური დანაშაულის შესაძლო ჩადენაში.

ახალი დანაშაულის საფრთხის დასაბუთებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულის შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს შორის რა ინტერვალია, რაც გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული შესაძლოა იმყოფება პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის ქვეშ, თუნდაც შინაპატიმრობაში, ასევე იმხილებოდეს სხვა დანაშაულის ჩადენაში, რომელზეც გაფორმებულია განრიდების ხელშეკრულება ან იმყოფება უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების ქვეშ ან/და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი დაწესებულებიდან ახალი გათავისუფლებული იყოს და ამჯერადაც ბრალი ედებოდეს კვლავ ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენაში.

მთავარი არის ის, რომ მის ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს შორის ინტერვალი უნდა იყოს ძალიან მცირე. აღნიშნული კი მიუთითებს მის მიდრეკილებას მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესაძლო ჩადენისაკენ და მის პიროვნებას

ახასიათებს უარყოფითად, რადგან იგი უგულებელყოფს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და მისი მიმართ გამოყენებული კანონით გათვალისწინებული შეღავათები არ ხდება მისი შემდგომი საქციელის სწორად განმსაზღვრელი.

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში მიიღება როგორც ბრალდებულის პიროვნული მახასიათებელი.“<sup>47</sup> ამასთან, ახალი დანაშაულის შეფასებისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე რა კონკრეტული გარემოებები ქმნის ვარაუდს იმისა, რომ ბრალდებულის მხრიდან მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არსებობს.

სასამართლომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას მტკიცებულებით საფუძველთან ერთად, ფორმალური საფუძველის გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული საფრთხეებიდან ერთი მაინც უნდა არსებობდეს, რომ სასამართლომ შეაფასოს აღვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებისადმი მისი პროპორციულობა, რაც ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს არასრულწლოვანი ბრალდებული ყველა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს დაექვემდებარება ლიბერალურ მიდგომას, მის მიმართაც შესაძლოა გამოყენებული იქნას საპროცესო იძულების ზომა.

აღნიშნული არ გულისხმობს ბრალდებულის წახალისებას კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ. იგი ემსახურება მისი ინტერესების დაცვას მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება სრულად უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე.

---

<sup>47</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 594

## 2.4 ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა და სასამართლოს მიერ მისი განხილვის თავისებურებანი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა, თუ არასრულწლოვანი ბრალდებული დაკავებულია, დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურორის მიერ უნდა შეტანილ უნდა იქნეს იმ რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდა დანაშაულის ფაქტი.

პროკურორმა ალკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს კონკრეტული ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი, ხოლო ყველაზე მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში კი სხვა ნაკლებად მკაცრი ალკვეთის გამოყენების მიზანშეუწონლობა. ბრალდების მხარე შუამდგომლობაში უნდა უთითებდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: „მატერიალური/ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა - რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის და არა სხვა სამართალდარღვევის ჩადენა.

ბრალდების მხარემ სრულყოფილად უნდა მოიძიოს მტკიცებულებები დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან მიმართებით, ფორმალური/საპროცესო საფუძველი - დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია, რომ ალკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში რეალურად არსებობს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მიმალვის, მონმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.“<sup>48</sup> ბრალდების მხარემ შუამდგომლობაში ფორმალურად არ უნდა მიუთითოს ალკვეთის ღონისძიების გამოყენების ყველა საფუძველი, არამედ მხოლოდ ის საფუძველი, რომლის პრევენციის მიზნითაც გამოიყენება კონკრეტული ალკვეთის

<sup>48</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 559

ლონისძიება. ამასთან, ყველა საფუძველი კონკრეტულად უნდა იყოს დასაბუთებული, მითუმეტეს, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე ერთი შუამდგომლობით რამდენიმე ბრალდებულის მიმართ ითხოვს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებას სასამართლო განიხილავს სასამართლოში საქმის შეტანიდან (კანცელარიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან) 24 საათიან ვადაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვას ახასიათებს, არის ის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების განხილვა მიმდინარეობს დახურულ სასამართლო სხდომაზე, რადგან ბავშვებს, ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. „პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. უარყოფითმა გასაჯაროებამ შეიძლება მოახდინოს ბავშვის სტიგმატიზაცია და სავარაუდოდ, უარყოფითად აისახება ბავშვის შესაძლებლობაზე, მიიღოს განათლება, მოიძიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, ასევე მის ინტეგრაციაზე“.<sup>49</sup>

ამასთან, სახელმწიფოებმა კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, რომ როდესაც მიმდინარეობს ბავშვის გასამართლება დანაშაულის ჩადენის გამო, განხილვა უნდა გაიმართოს დახურულ კარს მიღმა,<sup>50</sup> ხოლო გამონაკლისები აღნიშნული წესიდან უნდა იყოს ძალიან შეზღუდული და მკაფიოდ განსაზღვრული კანონში. „ექსპერტებს და სხვა სპეციალისტებს უნდა მიეცეთ სასამართლო პროცესზე ან განხილვაზე დასწრების საშუალება მხოლოდ სასამართლოს ან ტრიბუნალის სპეციალური ნებართვით.“<sup>51</sup>

ამასთან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან რეკომენდაციას აკეთებს ქეროლინ ჰამილტონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის

<sup>49</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, პუნქტი 64

<sup>50</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, პუნქტი 66

<sup>51</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011, პუნქტი 65

სახელმძღვანელო მითითებებში, რომლის თანახმად: „... მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა გარკვევით უკრძალავდეს ყველანაირ მედიას ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელებას ან ეთერში გადაცემას, რომლითაც შესაძლებელია იმ ბავშვის იდენტიფიცირება, რომელმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინა დანაშაული, ბრალდებული ან აღიარებულია მის ჩამდენად. ეს მოიცავს ბავშვის ან მისი მშობლების ფოტოების ან სხვაგვარი გამოსახულების გამოყენების აკრძალვას, ბავშვის და მშობლების, სკოლის, რომელშიც ბავშვი დადის, და სამეზობლოს, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, დასახელებას. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სანქციებს, რომლებიც გამოყენებული იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დამრღვევი ჟურნალისტების, გაზეთების და მუხრებლების წინააღმდეგ. კონფიდენციალურობის დარღვევა მიჩნეული უნდა იყოს დანაშაულად და სამოქალაქო სასამართლოებში სარჩელის აღძვრის საფუძველიც უნდა იყოს.“

სასამართლო სხდომას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი (დედა, მამა, ოჯახის წევრი, ნათესავი), მაგრამ თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მას ბრალდების მხარე დადგენილების საფუძველს დაუნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც შესაძლოა იყოს მეურვეობისა და მზუნველობის ორგანოს წარმომადგენელი (სოციალური მუშაკი).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას უნდა იღებდეს ის პროკურორი, რომელსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აქვს შესაბამისი სპეციალიზაცია.

ამასთან, „საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 30 დეკემბრის N201 ბრძანებით 2015 წლის პირველი იანვრიდან არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეზე უფლებამოსილებას ახორციელებენ ის პროკურორები, რომლებმაც გაიარეს დამატებითი მომზადება არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულებაში პედაგოგისა და ფსიქოლოგიაში. ამასთან, პროკურორის კარგი მომზადება მოზარდის ფსიქოლოგიასა და პედაგოგიაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის მიერ დისკრეციული უფლების სწორად და სამართლიანად გამოყენებას.<sup>52</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ადვოკატის დანიშვნა სავალდებულო წესით. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა მალაღობა დააყენა არასრულწლოვნის ინტერესი და მიუთითა მათ მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობის სავალდებულობაზე, რომლის თანახმად, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი. ამასთან, „იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატთა მუდღვემოქმედი ჯგუფი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანს პირველი მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით.“<sup>53</sup>

კანონმდებელმა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაადგინა მაღალი სტანდარტი მოსამართლეთა მიმართ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში კანონთან კოფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილება, სულ მცირე ორ წევრი მაინც უნდა იყოს სპეციალიზებული მოსამართლე, ასევე სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. „არასრულწლოვანთა მოსამართლის პროფესიონალიზმი, გარდა

<sup>52</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 174

<sup>53</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015, მ. 20

პედაგოგიური უნარ-ჩვევებისა, დამოკიდებულია მისი დაკვირვების უნარზე, გამოცდილებაზე და მდიდარ პრაქტიკაზე.<sup>54</sup>

მოსამართლე როდესაც იხილავს არასრულწლოვანთა მიმართ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს, განსაკუთრებული სიფრთხილით და ყურადღებით უნდა მოეკიდოს არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნებას, რადგან იგი ჯერ პიროვნული თვითგანვითარების პროცესშია.

პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი საუკეთესო ინტერესი და სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს მის მიერ განხორციელებული ქმედების პროპორციული, რაც სრულად უზრუნველყოფს მომავალში მისი სათანადო ქცევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლოში საქმის განხილვისას და იმპერატიულად განსაზღვრა სპეციალიზებული ადვოკატის, პროკურორის და მოსამართლის მონაწილეობით საქმის განხილვა.

## **2.5 აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, გაუქმების თავისებურებანი და განჩინების გასაჩივრების წესი**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან ერთობლიობაში განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საკითხს და მასთან დაკავშირებულ თავისებურებებს. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს ბრალდების და დაცვის მხარეს - ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გააჩნია „ნებისმიერ სტადიაზე პირველი

<sup>54</sup> Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 373

წარდგენის სხდომიდან წინასასამართლო სხდომამდე პერიოდში, წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას,<sup>55</sup>.

აღნიშნულ შუამდგომლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის საფუძვლად უნდა იყოს მითითებული შესაბამისი გარემოებები, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძვლიანობას. ბრალდების მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მას აკისრია. იგი „ვალდებულია წარმოადგინოს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის პროპორციულობისა და იმის დასაბუთება, თუ რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.“<sup>56</sup>

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება და მან დაარღვია მისთვის დაკისრებული მოვალეობები, მაგალითად, თუ ბრალდებული არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი მხრიდან თავის არიდებად და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას, სანამ არ იქნება გარკვეული თუ რით იყო განპირობებული მისი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა.

მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ წარდგენილ შუამდგომლობაში მითითებული უნდა იქნეს, რა ახალი მნიშვნელობის მქონე არსებითი გარემოება იქნა გამოვლენილი, რომელიც გავლენას ახდენს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერებაზე და ასაბუთებს მისი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველს.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა ახალი გარემოების ცნებას არ განსაზღვრავს, თუმცა „ეს შეიძლება იყოს შეცვლილი ვითარება - მაგალითად, თუ აღკვეთის ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის პრევენცია, გამოძიების დასრულების შემდეგ ყველა მტკიცებულება

<sup>55</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 615

<sup>56</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 616

მოპოვებულია და დამაგრებულია, შესაბამისად მცირდება მტკიცებულებების განაადგურების საფრთხე.<sup>57</sup> ამასთან, ახალ გარემოებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც დადასტურებული უნდა იყოს ექსპერტის დასკვნით და პენიტენციური სამსახურის შესაბამის დაწებულებაში მისი ყოფნა უფრო უნდა აუარესებდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ასევე, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოსთან აქტიური თანამშრომლობა და ბრალის აღიარება ასევე შეიძლება ჩაითვალოს იმ ახალ გარემოებად, რომელიც გავლენას ახდენს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე და აღნიშნული არ იყო ცნობილი და გამოკვლეული აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვისას. შუამდგომლობაში მითითებული გარემოებების საფუძვლიანობა უნდა დასტურდებოდეს შუამდგომლობაზე დართული შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალებით.

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობა ბარდება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში, შესაბამისი წლის, თვის, რიცხვის, საათისა და წუთის მითითებით. აღნიშნული შუამდგომლობის კანცელარიაში რეგისტრაციის მომენტიდან სასამართლო მსჯელობს აღნიშნული შუამდგომლობის დასაშვებობაზე, რა დროსაც სასამართლოს მიერ შესწავლილ უნდა იქნეს მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული რა ახალი არსებითი გარემოება გამოვლინდა, რაც ცნობილი არ იყო აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას. აღნიშნული გარემოებები თუ დასტურდება შუამდგომლობაზე თანდართული საქმის მასალებით და გავლენას თუ ახდენს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერებაზე.

თუ სასამართლო შუამდგომლობას დასაშვებად ცნობს, აღნიშნულის თაობაზე აცნობებს მხარეებს და დაინიშნება სასამართლო სხდომა, სადაც მოსამართლე განიხილავს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

<sup>57</sup> ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 615

თუმცა, იმ შემთხვევაში თუ დაცვის მხარის შუამდგომლობა და მასზე დართული საქმის მასალები არ ადასტურებს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველს და სასამართლო დაუშვებლად ცნობს შუამდგომლობას აღნიშნულის თაობაზე დაუყოვლებლივ უნდა ეცნობოს შუამდგომლობის ავტორს, რის თაობაზეც უნდა შედგეს ოქმი, სადაც მიეთითება შესაბამისი წელი, რიცხვი, თვე და საათი, როდესაც მხარეს ეცნობა მისი შუამდგომლობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღნიშნული ოქმი დაერთვის საქმეს.

განჩინება შუამდგომლობის ავტორს შესაძლებელია ჩაბარდეს მატერიალურად შესაბამისი ხელწერილის ჩამორთმევის საფუძველზე ან გაეგზავნოს კურიერის მეშვეობით საქმის მასალებში მითითებულ მისამართზე.

კანონმდებელი იმპერატიული დათქმას აკეთებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის, გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა ერთჯერადად პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა გაასაჩივროს განჩინების გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. აღნიშნული საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც საჩივარს და სისხლის სამართლის საქმის მასალებს უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო მსჯელობს საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილებას იღებს 72 საათში, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება შუამდგომლობის ავტორს.

შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში ინიშნება სასამართლო სხდომა და განიხილება გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერების საკითხი. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული პატიმრობა შესაძლოა შეიცვალოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით იმ შემთხვევაში, თუ მხარე შუამდგომლობაში მიუთითებს იმ ახალ გარემოებაზე, რაც

ქმნის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველს და დასტურდება შუამდგომლობაზე დართული მასალების მიხედვით. ასევე, აღნიშნული გადანაცვებების სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს მიღებული გადანაცვებები გასააჩივროს სააპელაციო სასამართლოს საგამიძიებო კოლეგიაში, რომლის გადანაცვებები საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **თავი III. კვლევის შედეგები**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გარკვეული ცვლილებები შეიტანა აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას და იმპერატიულად განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული პატიმრობა, როგორც ყველაზე უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება. აღნიშნული საკითხების სიღმისეული კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაზე კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება პრევენციის მიზნით და კონკრეტული მიზნის მიღწევას ემსახურება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია მისი დაკავებით და ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობას დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა წარადგენს სასამართლოში და აღკვეთის ღონისძიების სახედ შუამდგომლობაში მიუთითებს გირაოს გამოყენებას, პატიმრობის უზრუნველყოფით და დაასაბუთებს, რომ ხსენებული აღკვეთის ღონისძიება სრულად უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის სათანადო ქცევას. აღნიშნული ვერ იქნება ყურადღების გარეშე დატოვებული, რადგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება პატიმრობის უზრუნველყოფით, რაც გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმრობაში დარჩება მანამ, სანამ არ იქნება გადახდილი აღნიშნული გირაოს თანხა, მითუმეტეს, რომ არასრულწლოვანს არ გააჩნია შემოსავლის წყარო და იგი დამოკიდებულია ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობებზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მითუმეტეს რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების დროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან

ერთად ასევე გამოიყენება სხვა ნორმატიული აქტების დებულებები, რაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აღნიშნულ კოდექსს და არასრულწლოვნისათვის საუკეთესო ინტერესს უნდა ითვალისწინებდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია დაკავებით და ბრალდების მხარე მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე პატიმრობის უზრუნველყოფით, სასამართლომ შუამდგომლობის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვანი ბრალდებულის საუკეთესო ინტერესი და მის მიმართ უნდა გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების და ბრალდებულის პიროვნული მონაცემების მხედველობაში მიღებით და იგი გაათავისუფლოს დაკავებიდან.

ასევე, მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების ან არასაპატიმრო სასჯელის შემთხვევაში მათ მიმართ გახშირებული სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი. კერძოდ, შესწავლილი იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები. ასევე შესწავლილი იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის და 2017 წლის სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ, რომლის თანახმადაც, 2017 წელს გაზრდილია მათი რაოდენობა.

აღნიშნული კი გულისხმობს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაზე საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოს მხრიდან მათი საუკეთესო ინტერესის მხედველობაში მიღება იმ კუთხით, რომ მათ მიმართ გამოყენებული იქნეს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება და არასაპატიმრო სასჯელი, რაც შემდგომში უარყოფითად აისახება მათზე, ერთგვარ წამახალისებელ ფორმას იღებს და დაუსჯელობის განცდას იწვევს, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენაში.

ამასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობა, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული უნდა იქნეს იმ

შემთხვევაში, როდესაც მის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული გულისხმობს, რომ თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილია ისეთი ქმედება, რომელიც ითვალისწინებს არასაპატიმრო სასჯელს, როგორცაა ჯარიმა, შინაპატიმრობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობა არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

აღნიშნული დათქმით კანონმდებელი გარკვეულ შემზღუდავს აწესებს და მკაცრად განერილი საფუძვლის არსებობისას ითხოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გაფორმებულია განრიდების ხელშეკრულება ან იმყოფება ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების ქვეშ, ასევე კიდევ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულია სისხლისამართლებრივი დევნა და კიდევ მას ბრალი ედება ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენაში, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული აღნიშნული ქმედებისათვის სასჯელის სახედ არ არის განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა მოცემულ შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, ვფიქრობ, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს პატიმრობა, რადგან მათ მიმართ გამოყენებული კანონით გათვალისწინებული არაერთი შეღავათი არ არის შემაკავებელი ხასიათის და მათი შემდგომი ქცევის გარანტი, მისი საუკეთესო ინტერესი აღემატება მოცემულ შემთხვევაში თავისუფლებაში ყოფნის ინტერესს და ამ სოციალური გარემოდან შორს ყოფნა დადებითად აისახება მის შემდგომ განვითარებაზე.

## დასკვნა

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებაზე კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სახეზე უნდა იყოს როგორც მტკიცებულებითი (მატერიალური), ისე ფორმალური (საპროცესო) საფუძველი. აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ. აღკვეთის ღონისძიება არ არის მიმართული პირის დასჯისაკენ. იგი ატარებს პრევენციულ ხასიათს და გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიებების სახეები და მასთან დაკავშირებული ის თავისებურებები, რაც განსაზღვრულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით. მართალია, აღნიშნული კოდექსი სრულ შესაბამისობაშია იმ საერთაშორისო აქტებთან და ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციასთან, რომელიც ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს, განსაკუთრებული სიფრთხილით მოექცეს არასრულწლოვანს და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს მისი საუკეთესო ინტერესი, თუმცა, ხსენებული საკითხის კვლევისას გამოკვეთილი იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყურადღების გარეშე ვერ იქნება დატოვებული.

კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ არ უნდა გავრცელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესი, რაც გულისხმობს შემდეგს: არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით გამოყენებულია დაკავება და სასამართლო ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს - რადგან აღნიშნული

საკითხი არ არის რეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და იგი ეწინააღმდეგება იმ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როდესაც პატიმრობა მხოლოდ უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა იქნეს გამოყენებული.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გირაოს გამოყენების განმარტების მუხლში გაკეთდეს შესაბამისი მითითება ან შენიშვნა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, მაგრამ პირადი თავდებობის და მეთვალყურეობაში გადაცემის შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში არასრულწლოვნის შესაბამის პასუხისმგებლობას და უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას და შემოიფარგლება მხოლოდ პირად თავმდებთა და მეთვალყურეთა პასუხისმგებლობით.

ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ყოველი კანონით გათვალისწინებული შეღავათი წამახალისებელ სახეს იღებს ახალი დანაშაულის ჩადენის კუთხით, რაზეც მეტყველებს არსებული სტატისტიკური მონაცემები. ასეთ პირებს უჩნდებათ დაუსჯელობის განცდა და მათი მიერ ჩადენილი ყოველი ახალი დანაშაულებრივი ქმედება კანონის მხრიდან ლიბერალურ მიდგომას არ უნდა გულისხმობდეს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება სრულად უნდა უზრუნველყოფდეს მის სათანადო ქცევას საგამოძიებო ორგანოში და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საჭიროა ამ კუთხით შემუშავებული იქნეს შესაბამისი რეკომენდაციები არასრულწლოვანთა მიმართ არასაპატიმრო სასჯელისა და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამასთან, კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა იმპერატიული დათქმით, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ერთგვარ ჩიხში მოაქცია როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები.

იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია არაერთი კანონით გათვალისწინებული შეღავათი, რომელიც არ გახდა ბრალდებულისათვის შემაკავებელი ხასიათის, მისი შემდგომი ქცევის გარანტი და მას ბრალად ედება კვლავ განზრახი, მხოლოდ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის სახედ არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა.

ვფიქრობ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნა აღემატება მის საუკეთესო ინტერესს და ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას პატიმრობა, რადგან არასრულწლოვანი ბრალდებული ყველა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს არ შეიძლება დაექვემდებაროს კანონის მხრიდან ლიბერალურ მიდგომას, რაც არ უნდა გულისხმობდეს ბრალდებულის წახალისებას კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ.

იგი უნდა ემსახურებოდეს მისი ინტერესების დაცვას მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. ამასთან, გასაზიარებელია აზრი, რომ პატიმრობა გამოყენებულ იქნას მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. თუმცა, ვფიქრობ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომ არასრულწლოვანი, რომელიც რამდენჯერმე ნასამართლევი და მის მიმართ გამოყენებული იქნა სხვა ალტერნატიული ღონისძიებები, რაც მისი თავისუფლების შეზღუდვას არ გულისხმობს, რომელიც მისთვის არ აღმოჩნდა მისი შემდგომი ქცევის გარანტი და შემაკავებელი ფაქტორი ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებელად და კვლავ იმხილება

ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესაძლო ჩადენაში. აღნიშნული შესაძლოა გახდეს ბრალდებულისათვის პატიმრობის, როგორც უკიდურესი აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების საფუძველი.

## გამოყენებული ლიტერატურა

### მონოგრაფიები

1. გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2003;
2. მამნიაშვილი მ და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2015;
3. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., გამომც. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009;
4. ფაფიაშვილი ლ და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2015;
5. შალიკაშვილი მ., მიქნაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გამომც. „მერიდიანი“, 2016;
6. ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ანალიზი, თბ., გამომც. ფონდი ღია საზოგადოება, 2010;
7. ჰამილტონი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013;
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პერიოდული გამოცემა N1, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017;

9. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011,
10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011;

### **სასამართლო პრაქტიკა**

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი N646 II-40;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინება 1გ/178-15;
13. Assenov v Bulgaria, 24760/94, 28/10/1998;
14. Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium, ECHR, no. 13178/03, 12/10/2006;
15. Tomasi v. France, no. 12850/87, 27/08/1992;
16. Mansur v. Turkey, 08/06/1995;
17. Jecius v. Lithuania, 31/07/2000;
18. Aleksandr Makarov v Russia ECtHR, 12/03/2009;
19. Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014. S. 373;
20. Musaev Uzbekistane, ECtHR 21/10/2014;
21. Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011;
22. Campbell and Hartley v. UK, 1990 წელი, no 12244/86;
23. Boicenco v Moldova, 11/07/2006;.

### **ნორმატიული აქტები**

24. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 (ახ.რედ.);
25. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;
26. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, 1959;
27. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2009) (ახ.რედ.);

28. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, (2015) (ახ.რედ.);
29. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, „პეკინური წესები“ (1985);
30. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011;

**ვებ. გვერდები**

31. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge);
32. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge);
33. [www.tbappeal.court.ge](http://www.tbappeal.court.ge);